## წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

### პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

### მტკნარი წყლის აკვაკულტურის და/ან მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის ქვეკომპონენტი

- უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა), სახელმწიფო იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში) (გარდა მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის შემთხვევისა);
- მტკნარი წყლის აკვაკულტურის ან/და მარიკულტურის მეურნეობის მართვის გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მტკნარი წყლის აკვაკულტურის ან/და მარიკულტურის მეურნეობის საწარმოო ჟურნალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მტკნარი წყლის აკვაკულტურის ან/და მარიკულტურის მეურნეობის მოწყობის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
- სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში მშენებელთან გაფორმებული ხელშეკრულება და ხარჯთაღრიცხვა;
- სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსაგან მიღებული აკვაკულტურის საქმიანობის ნებართვა, რომლის მოქმედების პერიოდიც არ უნდა იყოს ათ წელზე ნაკლები;
- მეურნეობაში დასაქმებული აკვაკულტურის სპეციალისტ(ებ)ის კომპეტენციის დამადასტურებელი დიპლომი ან სერტიფიკატი (არსებული მეურნეობის შემთხვევაში);
- სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ „აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უცხო სახეობის შემოყვანის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №2-846 ბრძანების შესაბამისად გაცემული აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უცხო სახეობის შემოყვანის ნებართვა;
- მომსახურების მომწოდებელ ფიზიკურ პირთან ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და ინვოისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების/მეპაიეთა კრების ოქმი თანადაფინანსების ხელშეკრულების

გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ;

- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გასაცემი სესხის პარამეტრების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);
- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ ან ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არაუმეტეს 1 000 ლარის დავალიანების შესახებ ან შესაბამისი დოკუმენტი სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ან მისი გადახდის ვალდებულების შესაბამისი კანონის საფუძველზე შეჩერების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);
- პოტენციური ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.